

**ლაზო პაპაგა: რატომ უნდა ვისესხოთ
500 მილიონი დოლარი მაშინ,
როდესაც მთავრობა გაიძახის, ავშენდითო!**

გაზეთი “ასავალ-დასავალი”, 25 თებერვალი – 2 მარტი, № 8, 2008

საქართველოს მთავრობამ 50 დღის განმავლობაში სიღარიბის დაძლევა განიზრახა და დოკუმენტიც გამოაცხო: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. მიხეილ სააკაშვილის 4-წლიანი მმართველობა ქართველ ხალხს ნგრევითა და უბედურებით დაამახსოვრდა. ნუთუ, გვეშველა და, როგორც ბატონმა სააკაშვილმა გვახარა, „მთავრობა ხალხისკენ შემობრუნდა“?! ამ კითხვაზე პასუხისმომებელი „ასავალ-დასავალი“ საქართველოს პარლამენტის წევრს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას დაუკავშირდა.

– ბატონო ლადო, ლადო გურგენიძის მთავრობამ დიდი ზარზეიმით სიღარიბის დაძლევის 50-დღიანი პროგრამა გამოამზეურა. ვიტიროთ თუ ვიცინოთ?

– ამაზე ტირილიც შეიძლება და სიცილიც! ეს ხუმრობით, თორემ თემა ძალიან სერიოზულია. ისე კი სასაცილო მომენტებიც, რა თქმა უნდა, თან ახლავს...

დავიწყოთ სასაცილო ამბებით:

ამ დოკუმენტს ჰქვია სიღარიბის დაძლვის 50-დღიანი გეგმა. არადა, ეს გეგმა იანვრიდან იწყება და მაისში უნდა დასრულდეს. ჩვენს მკითხველს ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს იმის დათვლა, რამდენი დღეა იანვრიდან მაისის ბოლომდე. ეს არის 152 დღე! ანუ დოკუმენტს, რომელსაც ჰქვია „50-დღიანი გეგმა“ 152 დღეზეა გაწერილი!

– „100-დღიანი“ მაინც დაერქვათ, ეს ციფრი ხომ ძალიან უყვარს ჩვენს ხელისუფლებას...

– ...რაც შეეხება ამ დოკუმენტს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ გეგმა. ეწ. პროგრამა კი მიღებულ იქნა ამა წლის 31 იანვარს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ხდობა გამოუცხადა ლადო გურგენიძის მთავრობას. სწორედ ამ პროგრამის საფუძველზე მომზადდა ზემოხსენებული 50-დღიანი გეგმა.

მთავრობის ე.წ. პროგრამაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ხაზგასმით აღნიშვნა. პროგრამულ დოკუმენტში, რომელსაც პქვია „ერთიანი საქართველო სიდარიბის გარეშე“, შავი თეთრზე წერია – საქართველოში 5 წელიწადში სიდარიბე მნიშვნელოვნად შემცირდება! ქართული ენა ვინც იცის, ის, ბუნებრივია, სათაურიდან ასე გაიგებს – საქართველოში სიდარიბე ადარ იქნება! მაგრამ ამ პროგრამაში საწინააღმდეგო რომ წერია – სიდარიბე კი შემცირდება, მაგრამ მთლად „სიდარიბის გარეშე“ აშკარად ვერ ვიქნებით!

მთავრობის დოკუმენტში ასე იშიფრება ჩანაწერი – სიდარიბე მნიშვნელოვნად შემცირდება“ – თურმე, საქართველოში, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იღებს სოციალურ დახმარებებს, 50 პროცენტით შემცირდება! ანუ, დარიბი მოსახლეობა განახევრდებაო! მეორე ნახევარი ხომ ისევ დარიბი დარჩება და როგორ გამოდის „საქართველო სიდარიბის გარეშე“?!

- რამდენ ათას ადამიანზეა გათვლილი სიდარიბის დაძლევის პროგრამა?
- ძალიან კარგი შეკითხვაა, დიდი მადლობა... ამის შესახებ დოკუმენტი არანაირი ინფორმაცია არა რის!

ჩვენ არ ვიცით, რამდენი ათასი ადამიანი ისარგებლებს ამ ე.წ. პროგრამით გათვალისწინებულ სიკეთეებით; ჩვენ არც ის ვიცით, მთავრობის მიერ შერჩეული, სიდატაცის ზღვრის მიღმა მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა გარდა კიდევ თუ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხსენებულ სოციალურ დახმარებებს ვერ იღებენ დარჩენილი... როგორც ცნობილია, ჩვენში არცოუ ცოტაა ხალხი, რომლებმაც ვერ მიიღეს მთავრობის ნორმებით გათვალისწინებული „სიდარიბის ქულები“, მაგრამ ნამდვილად უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ...

გასარკვევია ისიც, ხომ არ სარგებლობენ სიდარიბესთან ბრძოლის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ადამიანები, რომლებიც ხელოვნურად არიან შეყვანილები დასახმარებელთა სიებში და რეალურად, არანაირი შემწეობა არ სჭირდებათ.

– რამდენადაც ცნობილია, მთავრობამ სერიოზულად შეამცირა საქართველოში დარიბ-დატაკთა რაოდენობა... უბრალოდ, აიღეს და ადამიანისთვის აუცილებელი კილოკალორიების რაოდენობა შეამცირეს!

– 2003 წელს დაითვალიეს სიღარიბის ზღვარი, რომელიც მიბმული იყო საარსებო მინიმუმს. სიღარიბის ზღვარს მიღმა მაშინ მოსახლეობის 52 პროცენტი აღმოჩნდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მთავრობის დავალების შესაბამისად, სტატისტიკის დეპარტამენტმა ცვლილებები შეიტანა საარსებო მინიმუმის გათვლის მეთოდოლოგიაში. კერძოდ, შეამცირეს ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი პროდუქტების კალორიულობა; გარდა ამისა, მოქალაქეების აუცილებელი პროდუქტების ნუსხაში საცალო ფასის ნაცვლად გამოიყენეს საბითუმო ფასები... ასეთმა ცვლილებებმა, რა თქმა უნდა, შეამცირა სიღარიბის ზღვარი. კერძოდ, უკვე 2004 წელს სიღარიბის ზღვარმა უცბად, 52-დან 35 პროცენტამდე დაიკლო. ანუ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ მოქალაქეთა რაოდენობა ერთ წელში 17 პროცენტული პუნქტით შემცირდა!

ეს კარგადაც „გაპიარდა“. ჩვენს მოსახლეობას უთხრეს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სიღარიბებმ 17 პროცენტით იკლო... რა თქმა უნდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხალხს არ გაუმხილეს, ეს კლება მეთოდოლოგიის, დათვლის ახალი წესის დამსახურებააო...

2005 წელს რომ დაითვალიეს, აღმოჩნდა, რომ ახალი მეთოდოლოგიითაც კი მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი მაინც გაიზარდა – ზღვარს მიღმა უკვე 39 პროცენტი აღმოჩნდა. ამ ციფრების გამოქვეყნებისთვის სტატისტიკის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელობა დაისაჯა კიდეც...

2006 წელს კვლავ დაითვალიეს დარიბ-დატაკთა რაოდენობა და როგორ “ბოროტი ენები” ამბობენ, აღმოჩნდა, რომ ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და უკვე 42-პროცენტი გახდა. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, აღარ გამოქვეყნებულა!

2007 წლის ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს...

თუმცა, მასსენდება, შარშან მიხეილ სააკაშვილი თავის საჯარო გამოსვლებში როგორ აცხადებდა, საქართვლეული სიღარიბის ზღვარს მიღმა მხოლოდ 28 პროცენტი ცხოვრობსო. ნამდვილად არ ვიცი, საიდან მოიტანა მან ეს ციფრი, რადგან მსგავსი რამ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში მე არ მინახავს.

ამდენად, ჩვენ დღესაც არ ვიცით, რა კრიტერიუმებით ფასდება სიღარიბის ზღვარი და რეალურად, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ ზღვარს მიღმა...

– უბრალოდ, მთავრობის მიერ ციფრებით მანიპულირებას ძალიან მარტივი სახელი ჰქვია – თაღლითობა!

– თანამედროვე ენით ამას „მთავრობის პიარი“ ჰქვია.

– მთავრობა პენსიის 70 ლარამდე გაზრდას გეგმავს. ეს უახლოეს ხანში მოხდება; დაგეგმილია პენსიის 100 დოლარამდე გაზრდაც. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ფასების კატასტროფულ ზრდას, გამოდის, მთავრობა რასაც ერთი ჯიბიდან გვართმევს, მეორე ჯიბეში გვიბრუნებს და თანაც, ამას საკუთარ წარმატებებად ასაღებს...

– რა თქმა უნდა, ხელფასებისა თუ პენსიების მატება ინფლაციურ პროცესებს უწყობს ხელს. კარგია, როდესაც პენსია და ხელფასი იზრდება, მაგრამ აქ მთავარია, როგორი იქნება ლარის მსყიდველობის უნარიანობა, როცა პენსია 55 ლარიდან 70-მდე მოიმატებს. მნელი პროგნოზირებადი არ უნდა იყოს, რომ დავასკვნათ: ლარის მსყიდველობითუნარიანობა დაეცემა!

ინფლაციის ზრდას პენსიებისა და ხელფასების მომატების გარდა, მთავრობის მიერ დაგეგმილი ფსევდოსოციალური დონისძიებებიც შეუწყობს ხელს. ჩვენ, შეგვიძლია გავიხსენოთ ე.წ. ფსევდოდასაქმების პროგრამა, რომლითაც ცოტა ვინ-მე თუ იშოვის სამსახურს, მაგრამ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მაინც მოთაფლავენ.

მთავრობის მიერ მოცემულ 200 ლარს ადამიანი ბანკში ხომ არ შეინახავს? ეს ფული დაიხარჯება, მოხვდება სამომხმარებლო ბაზარზე და შესაბამისად, აიწევს პირველადი მოხმარების საგნების ფასი.

ამრიგად, ლარის გაუფასურება ხდება როგორც პენსია-ხელფასების ზრდით, ასევე ე.წ. სოციალური პროგრამების წინასაარჩევნოდ ამუშავებით.

– ამ 50-დღიანი პროგრამის პრეზენტაციისას ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ სოციალურ პროგრამებზე 700 მილიონი ლარი დაიხარჯება. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა ევროპისგან 500 მილიონ დოლარს სესხულობს, ე.წ. ევროობლიგაციების გამოსაშვებად...

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა ვისესხოთ 500 მილიონი დოლარი მაშინ, როდესაც მთავრობა ყოველდღე გაიძახის, ქვეყანაში აღმშე-

ნებლობის ბუმიაო! მითუმეტეს, გაუგებარია, რატომ უნდა ავიღოთ ვალი ევროპის-გან, როდესაც მსოფლიოში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ფინანსური კრიზისი. მე ეს სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია.

- მთავრობა მოკლევადიანი დივიდენდების გამო, იმისათვის, რომ წინასაარ-ჩევნოდ მოიგოს ამომრჩევლის გული, გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო ზრდის ჩვენს არცთუ მცირე საგარეო ვალს? არ გვყოფნის უკვე არსებული, დაახ-ლოებით 2 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი?
- მე ვერ ვხედავ, ახალი ვალის აღების აუცილებლობას: მითუმეტეს, გლო-ბალური ფინანსური კრიზისის პირობებში.
- ჩვენი ქვეყანა რამდენად არის დაცული ამ კრიზისისგან?
- არანაირად არ ვიქნებით დაცულები, თუ ამ ევროობლიგაციებს გამოვუშ-ვებთ! დღეს მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ ვართ, რადგანაც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებთან ნაკლებად ინტეგრირებულები ვიმყოფებით.
- ასეთ არასახარბიელო ვითარებაში, რას უნდა ნიშნავდეს მთავრობის და-უოკებელი სურვილი, გააუქმოს ეროვნული ბანკი, რომელიც, ასე თუ ისე, ცდი-ლობს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას?
- თუ უველაფერი მთავრობის სცენარით წარიმართა და გაუქმდა ეროვნუ-ლი ბანკის დამოუკიდებლობა, მაშინ საფრთხე შეექმნება ქვეყნის ეკონომიკურ სუ-ვერენიტეტს. ეროვნული ბანკის დაქვემდებარება პოლიტიკური ორგანოსადმი – მთავრობისადმი არის შეცდომა.
- ეროვნული ბანკის გაუქმება კახა ბენდუქიძის „ცისფერ ოცნებად“ ითვ-ლება. მხოლოდ ბენდუქიძე რომ არ აწყობდეთ, ხომ არ იქნება ხელისუფლებაში?! სულ ცოტა გარეგნულად მაინც ასე ჩანს, რომ ეროვნული ბანკის, როგორც და-მოუკიდებელი ინსტიტუტის, გაუქმებაზე ოცნებობს ლადო გურგენიძეც, რომელიც მთავრობაში ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო ბანკიდან მივიდა...
- ბატონი გურგენიძე არც არასოდეს მალაგდა სიმპათიებს კახა ბენდუქიძი-სადმი. მისი აზრით, სწორედ კახა ბენდუქიძის მსოფლხედვა და ინტელექტია სა-

ჭირო სხვადასხვა სამთავრობო ინიციატივების ცხოვრებაში გატარებისთვის. ლადო გურგენიძემ თავად განაცხადა, რომ კახა ბენდუქიძე იდეოლოგიურად მისი გუნდის წევრია...

— თუ კახა ბენდუქიძე ლადო გურგენიძისთვის ასეთი მისაბაძი ფიგურაა, მაშინ როგორ ავხსნათ მიხეილ სააკაშვილის დანაპირები — ახალი მთავრობა ახალ კურსს, მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებისკენ „სახით შემობრუნების“ კურსს დაადგებაო? თუ ბენდუქიძემ ასე „მისაბაძად“ გაყიდა ყველაფერი, ლადო გურგენიძე როგორდა გამოდის „ახალი კურსის“ ადეპტი?

— მე ვერავითარ „ახალ კურსს“ ვერ ვხედავ. არის ძალზედ ბევრი პოპულისტური დაპირება სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე... თუ ძველმა მთავრობამ დაანგრია ანტიმონოპოლური სამსახური, ახალი მთავრობა ანგრევს ეროვნულ ბანკს... ეს არის „ახალი კურსი“. მე მგონი, ვითარება კიდევ უფრო დამიმდა...

ქვეყნის დანგრევა არ არის ლიბერალიზმი! ანტიმონოპოლური სამსახურისა და ეროვნული ბანკის დანგრევა არ არის ლიბერალიზმი!

საქართველოში ლიბერალიზმი კი არა, როგორც სოსო ცისკარიშვილმა თქვა, „ბენდუქიძის“ შეიქმნა!

ესაუბრა გიორგი გიგაური